

N 09/2517
19/12/2023

2517-09-2-202312191246



ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N 2001760123

(საექსპერტო მომსახურების შესახებ)

19 დეკემბერი 2023 წელი.

(გაფორმების

თარიღი)

ერთის მხრივ, სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო (შემდგომში ბიურო), წარმოდგენილი საქმისწარმოების სამმართველოს აჭარის განყოფილების უფროსის ირმა ბოლქვაძის სახით, რომელიც მოქმედებს ბიუროს უფროსის მიერ 2023 წლის 01 დეკემბერს გაცემული N156/5 ბრძანების საფუძველზე (შემდგომში – „მიმწოდებელი“) და მეორეს მხრივ, **სსიპ აჭარის სატყეო სააგენტო**, წარმოდგენილი **დირექტორის ჯუმბერ აბულაძის** სახით (შემდგომში – „შემსყიდველი“), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-3¹ პუნქტის, „ტ“ ქვეპუნქტისა და 2023 წლის 22 აგვისტოს N 09/1593 წერილის (ბიუროს რეგისტრაციის N1006752323) შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1. მომსახურების განხორციელება, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 16 იანვრის №14 დადგენილებით დამტკიცებული ბიუროს მომსახურების ტარიფ(ებ)ის, მხოლოდ ქვემოთ ჩამოთვლილი კოდ(ებ)ის შესაბამისად, კერძოდ:

სსიპ აჭარის სატყეო სააგენტოს სარგებლობაში არსებული ქედის მუნიციპალიტეტში სოფელ პირველ მაისში მდებარე ს/კ 21.02.32.019 შენობა-ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობის დადგენა.

მომსახურების კოდი:

1.1. საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის ფარგლებში - 13007 კოდ(ებ)ის შესაბამისად.

1.2. სამუშაო ადგილის შესაბამისი მუნიციპალური საზღვრების გარეთ განსახორციელებელი მომსახურების ტარიფის ფარგლებში - 19004 ჯგუფში შემავალი კოდ(ებ)ის შესაბამისად.

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება.

1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების საორიენტაციო ღირებულება განისაზღვრება **5200.00 (ხუთიათას ორასი)** ლარის ოდენობით (საქართველოს მთავრობის 2023 წლის 16 იანვრის N14 დადგენილებით დამტკიცებული „სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო მომსახურების ტარიფების“ შესაბამისად).

2. იმ შემთხვევაში, თუ საექსპერტო ღირებულების თანხა გასცდა - ხელშეკრულების საორიენტაციო ღირებულებას, მხარეები ვალდებული არიან იხელმძღვანელონ ექსპერტის დასკვნის შესაბამისად მომზადებული მიღება-ჩაბარების (ფორმა N5) აქტით და მასში მითითებული საექსპერტო მომსახურების ღირებულებით.

3. ანგარიშწორება შემსყიდველი მხარის მიერ მოხდება, კონკრეტული საექსპერტო მომსახურების ფარგლებში მომზადებული ექსპერტის დასკვნის თანდართული მიღება-ჩაბარების (ფორმა N5) აქტში მითითებული თანხის შესაბამისად.

4. დაჩქარებული საექსპერტო მომსახურების შემთხვევაში ღირებულების გამოთვლა განისაზღვრება წინამდებარე ხელშეკრულების მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად.

მუხლი 3. ხელშეკრულების ვადა.

1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა ხელმოწერის დღიდან. ხელშეკრულების მოქმედება ვრცელდება მხარეთა შორის წარმოშობილ ურთიერთობებზე 2023 წლის 23 აგვისტოდან ანუ სსიპ აჭარის სატყეო სააგენტოს N 09/1593 წერილობითი მომართვის დროის პერიოდიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების დასრულებამდე.

მუხლი 4. ანგარიშწორება

1. ანგარიშწორების ფორმა - უნაღდო ანგარიშწორება, ეროვნული ვალუტა ლარი;

2. შემსყიდველი ვალდებულია ანგარიშწორება განახორციელოს ექსპერტიზის დანიშვნის დოკუმენტის უნიკალური ათ ციფრიანი კოდის მეშვეობით, რომელსაც მიმწოდებელი აწვდის სმს შეტყობინების საშუალებით, შემსყიდველის მიერ მითითებულ სატელეფონო ნომერზე.

3. ანგარიშწორება წარმოებს სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემის (E-Treasury) ან შემსყიდველის მომსახურე კომერციული საბანკო დაწესებულების საბილინგე სისტემის მეშვეობით, ასევე:

- გადახდის ონლაინ პლატფორმიდან PAY.GE, TBC PAY.GE ან OPPA.GE;

- საქართველოს კომერციული ბანკების საკუთრებაში არსებული, ასევე „ოპპას“ სწრაფი გადახდის ტერმინალებიდან.

4. ანგარიშწორების განსახორციელებლად, შემსყიდველს უფლება აქვს მოითხოვოს მიმწოდებლისგან საგადასახადო დოკუმენტაციის წარდგენა (ასეთის საჭიროების შემთხვევაში).

5. თუ შემსყიდველი წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს - შემსყიდველის მიერ ანგარიშწორება განხორციელდება ამ მუხლის მე-4 და მე-5 მუხლის მე-4 პუნქტებით

განსაზღვრული ინფორმაციის/დოკუმენტაციის შემსყიდველისათვის მიწოდებიდან და დასკვნის წარდგენიდან/მიღებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

6. თუ შემსყიდველი წარმოადგენს ფიზიკურ ან/და კერძო სამართლის იურიდიული პირს = შემსყიდველის მიერ ანგარიშსწორება განხორციელდება მოიწოდებლის მიერ მომსახურების გაწევამდე (ავანსად) ან მიმწოდებლის მხრიდან მომსახურების გაწევის დასრულების თაობაზე ამ მუხლის მე-4 და მე-5 მუხლის მე-4 პუნქტებით განსაზღვრული ინფორმაციის/დოკუმენტაციის შემსყიდველისათვის მიწოდებიდან - დასკვნის გატანამდე/მიღებამდე; ანგარიშსწორებისათვის განსაზღვრული ვადა შეადგენს 10 სამუშაო დღეს.

7. ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით დადგენილი პირობის დარღვევით განხორციელებული ანგარიშსწორების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია მოითხოვოს ხელახალი ანგარიშსწორება დადგენილი წესის შესაბამისად, რა შემთხვევაშიც ვალდებულია დააბრუნოს არასწორი მეთოდით ჩარიცხული თანხა უკან. ამასთან, ხელახალი ანგარიშსწორების განხორციელებამდე, მიმწოდებელი უფლებამოსილია არ გასცეს მომზადებული ექსპერტის დასკვნა ან აქტი დასკვნის შედგენის შეუძლებლობის შესახებ (თუკი ასეთი დოკუმენტი ჯერ არაა გაცემული).

8. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველის დაკვეთის საფუძველზე, მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების საფასური გადააჭარბებს ამ ხელშეკრულების მე-3 მუხლში მითითებულ ხელშეკრულების საორიენტაციო მოცულობას, შემსყიდველი მხარე ვალდებულია სრულად გადაიხადოს მომსახურების საფასური - ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს შესაბამისად.

მუხლი 5. მომსახურების მიწოდების პირობები

1. წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და მისი კონტროლის მიზნით, საექსპერტო მომსახურების ვადებისა და დაჩქარებული საექსპერტო მომსახურების სახეობების განსაზღვრის მიზნით, გამოიყენება სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს უფროსის 2023 წლის 26 იანვრის N8/2 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში დაჩქარებული საექსპერტო მომსახურების სახეობების და საექსპერტო მომსახურების ვადის განსაზღვრის წესი“, რომელიც თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

2. შესაძლებელია, მომსახურების ჩასატარებლად საკვლევი ნიმუშ(ებ)ის წარმოდგენა განხორციელოს შემსყიდველმა ან/და საკვლევი ნიმუშის ასაღებად შემსყიდველის მოთხოვნით მიმწოდებელი გამოყოფს სათანადო ექსპერტს, განსახორციელებელი კვლევის შესაბამისად.

3. მომსახურების შესრულების ვადაში არ ჩაითვლება დროის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც სამუშაო შეჩერებულია შემსყიდველის მიზეზით. ამ შემთხვევაში, შემსყიდველი ვალდებულია წერილობითი ფორმით აცნობს მომსახურე მხარეს სამუშაოს დროებით შეჩერების და განახლების შესახებ.

4. საექსპერტო მომსახურება ჩაითვლება გაწეულად და ანგარიშსწორების განხორციელების ვალდებულება წარმოიშობა მას შემდეგ, რაც ბიუროს მხრიდან დასრულდება საკვლევი ობიექტზე მუშაობა და მომზადდება ექსპერტის დასკვნა -

შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტით (ფორმა N5), ან შედგება აქტი დასკვნის შედგენის შეუძლებლობის შესახებ (რის შესახებაც დამკვეთს ეცნობება მოკლე ტექსტური შეტყობინების (სმს), ელ. ფოსტის ან წერილობითი ფორმით), მიუხედავად იმისა, მოახდენს თუ არა შემსყიდველი გაწეული მომსახურების ჩაბარებას ამ მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად.

5. მხარეები თანხმდებიან, რომ საექსპერტო კვლევებისათვის საჭირო გონივრული ვადებიდან გამომდინარე, ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ გასაწევი მომსახურების ღირებულება (საექსპერტო კვლევის ობიექტური სფეციფიკის გათვალისწინებით) შესაძლოა წინასწარ არ იყოს ცნობილი, წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში მიღებულ დაკვეთებზე, ექსპერტის დასკვნის მომზადების შემთხვევაში, შემსყიდველი ვალდებული იქნება აანაზღაუროს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება, მიუხედავად იმისა, იარსებებს თუ არა წინამდებარე ხელშეკრულების საორიენტაციო ღირებულებაში საკმარისი რესურსი.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, შემსყიდველს, წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში, უფლება აქვს გააუქმოს დანიშნული დაკვეთა, თუკი შემსრულებელს დაწყებული არ იქნება საექსპერტო კვლევა.

7. შემსყიდველის საჭიროებიდან გამომდინარე იგი ვალდებულია ამ მუხლის მე-4 პუნქტის დადგომის შემდგომ, არაუგვიანეს 10 კალენდარული დღის განმავლობაში მიღება-ჩაბარების აქტის გასაფორმებლად გამოცხადდეს ქვეთმით ჩამოთვლილ ერთ-ერთ მისამართზე, რომელზეც მხარეები შეთანხმდებიან წინასწარ, კერძოდ:

მისამართი	მონიშვნა	მისამართი	მონიშვნა
ქ. თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ. N84		ქ. გურჯაანი, წმინდა ნინოს ქუჩა N17	
ქ. თბილისი, ბოხუას ქუჩა N23		ქ. ქუთაისი, ი.ჭავჭავაძის გამზ. N2	
ქ. თბილისი, ბოხუას ქუჩა N25		ქ. გორი, სოფელი კარალეთი	
ქ. თბილისი, დიდგორის ქუჩა N40		ქ. ახალციხე, შ. რუსთაველის N105 ა	
ქ. რუსთავი, წმინდა ნინოს ქუჩა N3		ქ. ბათუმი, მელიქიშვილის ქუჩა N102	✓

მუხლი 6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

- შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს: სააგენტოს უფროსის მოადგილე ანზორ გოგიტიძე.
- ამ მუხლის მოქმედება არ ვრცელდება ექსპერტიზის დასკვნის შინაარსზე.

მუხლი 7. შემსყიდველი ვალდებულია

- დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

2. ხელი შეუწყოს მიმწოდებელს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შესრულებაში.
3. სრულყოფილი სახით წარმოადგინოს საკვლევი ნიმუში/ობიექტი ან/და უზრუნველყოს ამისთვის ბიუროს მიერ გამოყოფილი წარმომადგენლის დაშვება ობიექტზე.

მუხლი 8. შემსყიდველი უფლებამოსილია

1. მოითხოვოს მიმწოდებლისგან წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროული და ჯეროვანი შესრულება.

მუხლი 9. მიმწოდებელი ვალდებულია

1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.
2. საექსპერტო კვლევის განსახორციელებლად საჭირო ნიმუშ(ებ)ი მიიღოს/აიღოს და ჩაიბაროს/ჩააბაროს კანონით დადგენილი წესით;
3. შემსყიდველის მიერ საკვლევი მასალის/ობიექტის წარმოდგენლობის ან არასრულად წარმოდგენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია, დამკვეთის მომართვიდან 5 სამუშაო დღის, ხოლო დაჩქარებული საექსპერტო მომსახურებისას - მომართვიდან 2 სამუშაო დღის ვადაში, მოითხოვოს საჭირო მასალა/ობიექტი.
4. თუ საექსპერტო კვლევა ითვალისწინებს ბიუროს ტერიტორიის გარეთ არსებული გამოსაკვლევი ობიექტის დათვალიერებას/კვლევას/ნიმუშის აღებას, მიმწოდებელი ვალდებულია კვლევის დაწყებიდან გონივრულ ვადაში, ხოლო დაჩქარებული მომსახურების შემთხვევაში - მომართვისთანავე შეუთანხმოს შემსყიდველს ობიექტის დათვალიერების/კვლევის/ნიმუშის აღების თარიღი და დრო.
5. დაიცვას საექსპერტო კვლევის საფუძველზე მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

მუხლი 10. მიმწოდებელი უფლებამოსილია

1. მოითხოვოს შემსყიდველისგან წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროული და ჯეროვანი შესრულება.
2. შემსყიდველის მიერ, წინამდებარე ხელშეკრულების მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია შეადგინოს აქტი დასკვნის შედგენის შეუძლებლობის შესახებ, ან შეწყვიტოს მომსახურების განხორციელება.

მუხლი 11. მხარეთა პასუხისმგებლობა.

1. მხარეები პასუხს აგებენ მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, ან არაჯეროვნად შესრულებისათვის, აგრეთვე ცალმხრივად მოშლის შემთხვევაში, ან საკუთარი ნებით ხელშეკრულებიდან გასვლისას, თუ ამ ქმედებამ მეორე მხარეს მიაყენა ზიანი.

2. თუ შემსყიდველი უარს აცხადებს მიმწოდებლის მიერ ჩატარებული სამუშაოების გაგრძელებაზე, ან მომზადებული საექსპერტო დასკვნის მიღებაზე, იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულებით განსაზღვრული შესრულებული მომსახურების საფასური გადახდისაგან.

3. შემსყიდველს შეუსრულებლად **დაუბრუნდება დაკვეთა**, რომლის ღირებულებაც გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საექსპერტო კვლევის განხორციელება უკვე დაწყებულია, ასეთ დროს საექსპერტო მომსახურების საფასურის გადახდა ხორციელდება სრულად, ტარიფის შესაბამისად და მხარეები ვალდებული არიან გააფორმონ შასაბამისი შეთანხმების აქტი.

მუხლი 12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

1. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება (მათ შორის მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტა) უნდა გაფორმდეს წერილობით - მხარეთა შეთანხმების სახით და დანართის სახით უნდა დაერთოს ხელშეკრულებას.

2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია;

3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 25%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა;

4. ამ ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა შორის წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

მუხლი 13. ფორს-მაჟორი

1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი;

2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, პანდემიით, კარანტინით და საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა;

3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

მუხლი 14. სადავო საკითხების გადაწყვეტა

1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ წინამდებარე ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ წარმოქმნილი ყველა უთანხმოება და დავა;
2. შემთხვევები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებით, მოწესრიგდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით;
3. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს საერთო სასამართლოებს.

მუხლი 15. საკვლევი ნიმუშების გატანა

1. შემსყიდველი მხარე ვალდებულია მიმწოდებლისაგან დასკვნის მიღებასთან ერთად ჩაიბაროს საკვლევად წარმოდგენილი ნიმუში/ნივთმტკიცება. ამ პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს არ გადაეცემა ექსპერტის დასკვნა, ან/და აქტი დასკვნის შედგენის შეუძლებლობის შესახებ.
2. საკვლევი ნიმუშ(ებ)ის 90 კალენდარულ დღეზე მეტხანს გაუტანლობის შემთხვევაში, ჩაითვლება რომ ნიმუში აღარ ესჭიროება დამკვეთს, არ წარმოადგენს რაიმე მნიშვნელოვანს და ფასეულს, რაზეც მიმწოდებელს ეძლევა უფლება გაანადგუროს წარმოდგენილი ნიმუში ან/და იმოქმედოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
3. შემთხვევები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებით, მოწესრიგდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით.

მუხლი 16. შეტყობინება

1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის ან/და ელექტრონული ფოსტის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.
2. შეტყობინება ჩაბარებულად ჩაითვლება ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.
3. მხარეების მიერ შეტყობინება მიწოდებულად ითვლება, თუ მან შეტყობინება გაგზავნა მიმწოდებლის მიერ ექსპერტიზის დანიშვნის დოკუმენტში მითითებულ მისამართზე, რომელიც მომწოდებელმა შეცვალა, მაგრამ ამის თაობაზე არ აცნობა შემსყიდველს.

მუხლი 17. ხელშეკრულების რეგულირების სამართლებრივი საფუძველი

1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია, ორივე მხარის მიერ ხელმოწერის დღიდან.
2. წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.
3. მხარეთა შორის სახელშეკრულებო ურთიერთობები ძირითადად რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 629-ე-633-ე, 636-ე-638-ე, 642-ე-645-ე, 647-ე-649-ე მუხლებით;

4. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომსახურების ტარიფების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 16 იანვრის №14 დადგენილებით.

5. „სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში დაჩქარებული საექსპერტო მომსახურების სახეობების და საექსპერტო მომსახურების ვადის გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ ბიუროს უფროსის 2023 წლის 26 იანვრის N8/2 ბრძანებით.

6. წინამდებარე ხელშეკრულებით.

მუხლი 18. მხარეთა რეკვიზიტები

(დოკუმენტზე მხარეთა მიერ გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა)

<p>mimwodebeli</p> <p>ssip levan samxaraulis saxelobis sasamarTlo eqspertizis erovnuli biuro</p> <p>მის: ქ. ბათუმი , მელიქიშვილის ქუჩა №102</p> <p>ტელ: (995 32) 2 25 84 84</p> <p>ელ. ფოსტა: info@expertiza.gov.ge</p> <p>ს/კ: 204852089</p> <p>sagmiswarmoebis აჭარის განყოფილების უფროსი</p> <p>ირმა ბოლქვაძე</p>	<p>Semsyidveli</p> <p>სსიპ აჭარის სატყეო სააგენტო</p> <p>s/k 245631428</p> <p>mis: ფრიდონ ხალვაშის გამზირი 51</p> <p>tel: 577232242</p> <p>დირექტორი ჯუმბერ აბულაძე</p>
---	---

26/01/2023



6000092423

ლ ე ვ ა ნ სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს და ჩქარებულსაექსპერტო მომსახურების სახეობების და საექსპერტო მომსახურების ვადის გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს უფროსის

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის“


- ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომსახურების ტარიფების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 16 იანვრის N14 დადგენილების მე-3 მუხლისა და

თავილიანი

201 წ.



საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს N255 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,



1. დამტკიცდეს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში დაჩქარებული საექსპერტო მომსახურების სახეობების და საექსპერტო მომსახურების ვადის განსაზღვრის თანდართული წესი, დანართი N1-ის და დანართი N2 -ის შესაბამისად.

2. მალადაკარგულად გამოცხადდეს „სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში დაჩქარებული საექსპერტო

მომსახურების სახეობების და საექსპერტო მომსახურების ვადის გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ ბიუროს უფროსის 2017 წლის 10 მაისის N86 §3 ბრძანება.



3. ბრძანება ძალაშია 2023 წლის 1 თებერვლიდან.

მამუკა ჯანგულაშვილი

ბიუროს უფროსი

დანართი N1

სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში დაჩქარებული საექსპერტო მომსახურების სახეობების და საექსპერტო მომსახურების ვადის

განსაზღვრის წესი

1. სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში საექსპერტო კვლევა/გამოკვლევა იწყება დამკვეთის მიერ შემსრულებლისათვის საექსპერტო კვლევისათვის საჭირო მასალის/ობიექტის წარმოდგენის დღიდან. დასკვნა/აქტი დასკვნის შედგენის შეუძლებლობის შესახებ გაიცემა 30 სამუშაო დღის ვადაში, მაგრამ არა დაჩქარებული საექსპერტო მომსახურებისთვის განსაზღვრულ ვადაში.

2. იმ შემთხვევაში, თუ საექსპერტო მომსახურება ითვალისწინებს ბიუროს ტერიტორიის გარეთ არსებული საკვლევი ობიექტის დათვალიერებას/კვლევას და ნიმუშის აღებას, საექსპერტო მომსახურების ვადის ათვლა იწყება დამკვეთის მომართვის დღიდან 30 (ოცდაათი) სამუშაო დღის ვადაში.

3. საექსპერტო კვლევის სირთულიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე, საექსპერტო მომსახურების აუცილებელი გონივრული ვადა ვრცელდება დანართი №2-ით გათვალისწინებულ მომსახურებაზე.

4. დაჩქარებული საექსპერტო მომსახურების ვადა აითვალოს საექსპერტო კვლევისათვის საჭირო მასალის/ობიექტის წარმოდგენის, ასევე ბიუროს ტერიტორიის გარეთ არსებული ობიექტის კვლევა/დათვალიერებიდან და ნიმუშის აღებიდან დანართ N2-ში მითითებულ საექსპერტო მომსახურებისათვის განსაზღვრულ ვადაში.

5. განსაკუთრებულ შემთხვევებში, დანართ №2-ში მითითებული საექსპერტო მომსახურებისათვის განსაზღვრული ვადა, მხარეთა შეთანხმებით, შეიძლება გაგრძელდეს 5 სამუშაო დღით.

6. დაჩქარებული საექსპერტო მომსახურება არ ვრცელდება დანართი №2-ით განსაზღვრულ კონკრეტულ საექსპერტო მომსახურებაზე.

7. საექსპერტო კვლევის სირთულიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე, საექსპერტო მომსახურების

45 სამუშაო დღის ვადა აითვლება საექსპერტო კვლევისათვის საჭირო მასალის/ობიექტის ბიუროში წარმოდგენის დღიდან და გავრცელდება დანართი N2-ით განსაზღვრულ კონკრეტულ მომსახურებაზე.

8. დამკვეთის მიერ საკვლევი მასალის/ობიექტის წარმოდგენლობის ან არასრულად წარმოდგენის შემთხვევაში, ექსპერტი ვალდებულია, დამკვეთის მომართვიდან 5 სამუშაო დღის, ხოლო დაჩქარებული საექსპერტო მომსახურებისას - მომართვიდან 2 სამუშაო დღის ვადაში, მოითხოვოს საჭირო მასალა/ობიექტი.

9. მოთხოვნა საჭირო მასალის/ობიექტის წარმოდგენაზე შესაძლებელია განხორციელდეს:ა) წერილობითი ფორმით;

ბ) სატელეფონო კომუნიკაციით (სატელეფონო საუბარი დადასტურებულ უნდა იქნეს შესაბამისი დოკუმენტით);

გ) ელექტრონული ფოსტით ან ფაქსით (ტექნიკური საშუალებით მოწოდებული ინფორმაციით ან შესაბამისი დოკუმენტით).

10. თუ საექსპერტო მომსახურება ითვალისწინებს ბიუროს ტერიტორიის გარეთ არსებული გამოსაკვლევი ობიექტის დათვალიერებას/კვლევას/ნიმუშის აღებას, ექსპერტი ვალდებულია კვლევის დაწყებიდან გონივრულ ვადაში, ხოლო დაჩქარებული მომსახურების შემთხვევაში -მომართვისთანავე შეუთანხმოს დამკვეთს ობიექტის დათვალიერების/კვლევის/ნიმუშის აღების თარიღი და დრო.

11. ექსპერტი, დეპარტამენტის უფროსთან შეთანხმებით, უფლებამოსილია დამკვეთის მიერ 10 სამუშაო დღის, ხოლო დაჩქარებული საექსპერტო მომსახურების შემთხვევაში - 10 კალენდარული დღის ვადაში საექსპერტო მომსახურებისთვის აუცილებელი ობიექტის/მასალის წარმოდგენლობის/არასრულად წარმოდგენის შემთხვევაში, შეადგინოს აქტი დასკვნის შედგენის შეუძლებლობის შესახებ ან შეწყვიტოს ექსპერტიზის წარმოება.

დაჩქარებული
საექსპერტო
მომსახურების
სახეობები და
ვადები

კოდი	ექსპერტიზის დასახელება	ობიექტის რაოდენობა	ვადა
11000	ჩანაწერში არსებული ცვლილების ფაქტის დადგენა (ამოშლა, მიწერა, მიხატვა)	ერთი სიტყვა (ციფრობრივი ჩანაწერი)	5 სამუშაო დღე
11001	ჩანაწერში ცვლილების არსებობის შემთხვევაში თავდაპირველი ჩანაწერის აღდგენა	ერთი სიტყვა (ციფრობრივი ჩანაწერი)	5 სამუშაო დღე
11002	ქიმიურად დამუშავებული და გარეცხილი დოკუმენტის კვლევა	ერთი ობიექტი	5 სამუშაო დღე
11003	ტექნიკური საშუალებით შესრულებული (გაყალბებული) ხელმოწერის კვლევა	ერთი ობიექტი (ხელმოწერა)	5 სამუშაო დღე
11004	დოკუმენტში სურათის ცვლილების ფაქტის დადგენა	ერთი ობიექტი	5 სამუშაო დღე
11005	დოკუმენტის, ბლანკის ექსპერტიზა და მისი დამზადების წესის დადგენა	ერთი ობიექტი– 100	5 სამუშაო დღე
		100–1000	5 სამუშაო დღე
		1000–10000	5 სამუშაო დღე
		10000–100000	5 სამუშაო დღე
		100000–1000000	5 სამუშაო დღე
		1000000–ზევით	5 სამუშაო დღე
11006	ბეჭდის და შტამპის დამზადების წესის დადგენა ანაბეჭდის მიხედვით	ერთი ობიექტი	5 სამუშაო დღე
11007	ბეჭდის და შტამპის ანაბეჭდის იდენტიფიკაცია	ერთი ობიექტი	5 სამუშაო დღე

11008	საბეჭდ მანქანაზე ნაბეჭდი ტექსტის კვლევა	ერთი გვერდი	5 სამუშაო დღე
დაჩქარებული საექსპერტო მომსახურების სახეობები და ვადები			
კოდი	ექსპერტიზის დასახელება	ობიექტის რაოდენობა	ვადა
11009	პრინტერზე ამობეჭდილი ტექსტის იდენტიფიკაცია	ერთი გვერდი	5 სამუშაო დღე
11010	ხელმოწერის, ხელნაწერის და ამობეჭდილი ტექსტის დატანის წესის განსაზღვრა	ერთი ობიექტი	5 სამუშაო დღე
11011	პოლიგრაფიულ ნაწარმზე (დოკუმენტი, აქციზური მარკა და სხვ.) არსებული დამცავი ნიშნების დადგენა	ობიექტზე 1-3 დამცავი ნიშნის ჩათვლით	5 სამუშაო დღე
		ყოველი დამატებითი დამცავი ნიშანი	5 სამუშაო დღე
11012	აქციზური მარკის/ეტიკეტის მეორადი გამოყენების ფაქტის დადგენა	ერთი ობიექტი	5 სამუშაო დღე
11013	დახეული დოკუმენტის კვლევა	ერთი დოკუმენტი	5 სამუშაო დღე
11014	დამწვარი დოკუმენტის კვლევა	ერთი დოკუმენტი	5 სამუშაო დღე
11015	ფულადი ნიშნის დამზადების წესის დადგენა	1-10 ობიექტის ჩათვლით	5 სამუშაო დღე
		ყოველ დამატებით ობიექტზე	5 სამუშაო დღე
11016	ურთიერთგადამკვეთი შტრიხის დატანის თანმიმდევრობის დადგენა	ერთი ობიექტი	5 სამუშაო დღე
11017	დოკუმენტში შეცვლილი ფურცლის ფაქტის დადგენა	ერთი ფურცელი	5 სამუშაო დღე
11018	ქაღალდის პარამეტრების (სითეთრე, სიკაშკაშე, გაუმჭვირვალობა, წონა, სისქე, ზომა) დადგენა	ერთი ფურცელი	5 სამუშაო დღე
11019	დოკუმენტში ხელნაწერი ტექსტის კვლევა და იდენტიფიკაცია საწერ საშუალებასთან	ერთი გვერდი	5 სამუშაო დღე

11020	დოკუმენტის ხანდაზმულობის დადგენა (ბეჭდის, შტამპის მიხედვით)	ერთი ობიექტი	5 სამუშაო დღე
დაჩქარებული საექსპერტო მომსახურების სახეობები და ვადები			
კოდი	ექსპერტიზის დასახელება	ობიექტის რაოდენობა	ვადა
11021	გადახაზული, საღებავით დაფარული, სუსტად ხილული და უხილავი ჩანაწერის აღდგენა	1-5 სიტყვის (ციფრობრივი ჩანაწერი) ჩათვლით (თითო სიტყვა)	5 სამუშაო დღე
		6-10 ჩათვლით (თითო სიტყვა)	5 სამუშაო დღე
		11 და ყოველი მომდევნო	5 სამუშაო დღე
11022	ხელნაწერი ტექსტის კვლევა	ერთი ობიექტი	5 სამუშაო დღე
11023	ხელმოწერის კვლევა	ერთი ობიექტი	5 სამუშაო დღე
11024	ციფრობრივი ჩანაწერის კვლევა	ერთი ობიექტი	5 სამუშაო დღე
11025	უჩვეულო პირობებში შესრულებული ხელმოწერის კვლევა	ერთი ობიექტი	5 სამუშაო დღე
11026	მარცხენა და მარჯვენა ხელით შესრულებული ჩანაწერის და ხელმოწერის კვლევა	ერთი ობიექტი	5 სამუშაო დღე
11027	ელექტრონული ხელმოწერის კვლევა	1-5 ხელმოწერის გამოკვლევა, თითო ობიექტი	5 სამუშაო დღე
		6-10 ხელმოწერის გამოკვლევა, თითო ობიექტი	
		11-15 ხელმოწერის გამოკვლევა, თითო ობიექტი	
ბალისტიკური, ტრასოლოგიური და დაქტილოსკოპიური ექსპერტიზა			

11028	ობიექტზე არსებული ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული დაზიანების განსაზღვრა	1-5 დაზიანების ჩათვლით	5 სამუშაო დღე
		ყოველი დამატებითი დაზიანება	5 სამუშაო დღე
დაჩქარებული საექსპერტო მომსახურების სახეობები და ვადები			
კოდი	ექსპერტიზის დასახელება	ობიექტის რაოდენობა	ვადა
11029	ცეცხლსასროლი იარაღის ბალისტიკური კვლევა	ერთი ობიექტი	5 სამუშაო დღე
11030	მასრის/ ტყვიის /ვაზნისა და იარაღის საიდენტიფიკაციო კვლევა	ერთი ობიექტი	5 სამუშაო დღე
11031	ვაზნისა და მისი კომპონენტების ბალისტიკური კვლევა	ერთი ობიექტი	5 სამუშაო დღე
11032	კვალის (დაზიანების) გამოვლენის მიზნით ობიექტის ტრასოლოგიურ იკვლევა	1-5 დაზიანების ჩათვლით	5 სამუშაო დღე
		ყოველი დამატებითი დაზიანება	5 სამუშაო დღე
11033	კვალის (დაზიანების) წარმოშობის მექანიზმის და ობიექტის განსაზღვრა	ერთი კვალი (დაზიანება)	5 სამუშაო დღე
11034	ტანსაცმელზე და სხეულზე არსებული დაზიანების შესაბამისობის დადგენა	5 დაზიანების ჩათვლით	5 სამუშაო დღე
		ყოველი დამატებითი დაზიანება	5 სამუშაო დღე
11035	ტეხვის მექანიზმის განსაზღვრა და დამაზიანებელი საგნის იდენტიფიკაცია	ერთი ობიექტი	5 სამუშაო დღე
11036	ცივი იარაღის დადგენა	ერთი ობიექტი	5 სამუშაო დღე

11037	გადაკეთებული ან წაშლილი ნომრის დადგენა	ერთი ობიექტი	5 სამუშაო დღე
11038	მრიცხველის ტრასოლოგიური კვლევა	ერთი ობიექტისათვის განკუ თვნი ლი ერთი საკით ხი	5 სამუშაო დღე
დაჩქარებული საექსპერტო მომსახურების სახეობები და ვადები			
კოდი	ექსპერტიზის დასახელება	ობიექტის რაოდენობა	ვადა
11039	ობიექტის დამუშავება ხელის კვალის გამოვლენის მიზნით და კვალის ვარგისიანობის დადგენა საიდენტიფიკაციო კვლევისათვის	ერთი ობიექტი:	
		სპეციალური კამერების გამოყენებით;	5 სამუშაო დღე
		ქიმიური რეაქტივებით და სპეციალური ფხვნილებით	5 სამუშაო დღე
11040	დაქტილოსკოპიური შედარებითი კვლევა (პირის იდენტიფიკაცია)	ერთი კვალის შედარება ერთ დაქტილობარათთ ან	5 სამუშაო დღე
11041	პირის დაქტილოსკოპირება	ერთი ფიზიკური პირი	5 სამუშაო დღე
		ასი და მეტი ფიზიკური პირის – ერთი ფიზიკური პირი	5 სამუშაო დღე
11042	გვამის დაქტილოსკოპირება	ერთი ობიექტი	5 სამუშაო დღე
ავტოტექნიკური ექსპერტიზა			
11043	სატრანსპორტო საშუალების დეტალებისა და კვანძების კვლევა, ტექნიკური მდგომარეობის დადგენა (მარა, საჭის მართვის	ერთი ობიექტი	5 სამუშაო დღე

	მექანიზმი, სამუხრუჭე სისტემა)		
დაჩქარებული საექსპერტო მომსახურების სახეობები და ვადები			
კოდი	ექსპერტიზის დასახელება	ობიექტის რაოდენობა	ვადა
11044	სატრანსპორტო საშუალებების ძალური აგრეგატების გამოკვლევა (ძრავი, გადაცემათა კოლოფი, სავალი ნაწილები)	ობიექტი 3500 კგ-ის ჩათვლით	5 სამუშაო დღე
		3500 კგ-ზე მეტი	
დაჩქარებული საექსპერტო მომსახურების სახეობები და ვადები			
კოდი	ექსპერტიზის დასახელება	ობიექტის რაოდენობა	ვადა

11045	საკვლევი ობიექტის სატენდერო პირობებთან შესაბამისობის დადგენა	ობიექტი 3500 კგ-ის ჩათვლით	5 სამუშაო დღე
		3500 კგ-ზე მეტი	5 სამუშაო დღე
11046	სატრანსპორტო საშურა	ერთი ობიექტი:	5 სამუშაო დღე
		3500 კგ-ის ჩათვლით	5 სამუშაო დღე
		3500 კგ-ზე მეტი	5 სამუშაო დღე
დაჩქარებული საექსპერტო მომსახურების სახეობები და ვადები			
კოდი	ექსპერტიზის დასახელება	ობიექტის რაოდენობა	ვადა
11047	სპეცტექნიკის დეტალებისა და კვანძების კვლევა, ტექნიკური მდგომარეობის დადგენა	ერთი ობიექტი	5 სამუშაო დღე
11048	სპეცტექნიკის ძალური აგრეგატების გამოკვლევა (ძრავი, გადაცემათაკოლოფი, სავალი ნაწილები)	ობიექტი 3500 კგ-ის ჩათვლით	5 სამუშაო დღე
		3500 კგ-ზე მეტი	5 სამუშაო დღე
11049	სატრანსპორტო საშუალების ან/და სხვა სახის სპეცტექნიკის საწვავისხარჯის განსაზღვრა	ობიექტი 3500 კგ-ის ჩათვლით	5 სამუშაო დღე
		3500 კგ-ზე მეტი	5 სამუშაო დღე
		მექანიზმის განსაზღვრა	5 სამუშაო დღე

11050	საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის მექანიზმის განსაზღვრა	მექანიზმის განსაზღვრა კომისიური წესით	5 სამუშაო დღე
		მექანიზმის განსაზღვრა მოდელირების პროგრამით	5 სამუშაო დღე
		მექანიზმის განსაზღვრა მოდელირების პროგრამით, კომისიური წესით	5 სამუშაო დღე
11051	სამგანზომილებიანი სკანერით შემთხვევის ადგილის სკანირება და მოდელირება	ერთი ობიექტი	5 სამუშაო დღე
11052	სატრანსპორტო საშუალების ტრასოლოგიური კვლევა	ერთი ობიექტი	5 სამუშაო დღე
11053	საავიაციო/სარკინიგზო/სანაოსნო საშუალების ტექნიკური კვლევა	ერთი ობიექტი	5 სამუშაო დღე
11054	საავიაციო/სარკინიგზო/სანაოსნო საშუალების ტრასოლოგიური კვლევა	ერთი ობიექტი	5 სამუშაო დღე
11055	საავიაციო/სარკინიგზო/სანაოსნო ტრანსპორტის შემთხვევათა ექსპერტიზა	ერთი ობიექტი	5 სამუშაო დღე
ვიდეო, ფონოსკოპიური და ჰაბიტოსკოპიური ექსპერტიზა			
დაჩქარებული საექსპერტო მომსახურების სახეობები და ვადები			
კოდი	ექსპერტიზის დასახელება	ობიექტის რაოდენობა	ვადა
11056	აუდიო ან ვიდეოჩანაწერის აუდიტორული და აკუსტიკური ანალიზი(ფონოგრამის ვარგისიანობის დადგენა კვლევისათვის, ფონოგრამაზე დაფიქსირებული მეტყველების ხასიათის (კითხვითი თუ ზეპირი მეტყველება), ხანგრძლივობის, დიქტორის სქესის და რაოდენობის, აკუსტიკურ ხელშეშლათა ხასიათის და დონის შეფასება, ჩანაწერის დამზადების დროის დადგენა)	ერთი ფონოგრამა	5 სამუშაო დღე
		5 წუთის ჩათვლით	5 სამუშაო დღე

11057	ფონოგრამის ტექსტის დადგენა (გამიფვრა)	ყოველი დამატებითი წუთი	5 სამუშაო დღე
11058	პოლილოგის (3-დან 5-ის ჩათვლით დიქტორს შორის შემდგარი საუბრის) ტექსტის დადგენა	5 წუთის ჩათვლით	5 სამუშაო დღე
		ყოველი დამატებითი წუთი	5 სამუშაო დღე
11059	ხუთზე მეტ დიქტორს შორის არსებული საუბრის ტექსტის დადგენა	5 წუთის ჩათვლით	5 სამუშაო დღე
		ყოველი დამატებითი წუთი	5 სამუშაო დღე
11060	ფონოგრამის ტექსტის ლინგვისტიკური ანალიზი (ხმისა და მეტყველების ინდივიდუალური ნიშნების დადგენა: ხმის სიმაღლის, ტემბრის, მეტყველების ტემპის, სტილის, ინტონაციის, რიტმის, არტიკულაციის პათოლოგიური მოვლენები, დიალექტური თავისებურებანი, ინტელექტის განსაზღვრა)	ერთი დიქტორი	5 სამუშაო დღე
11061	აუდიო ჩანაწერზე მონტაჟის ნიშნის დადგენა, ჩანაწერის დამზადების მეთოდის დადგენა	10 წუთის ჩათვლით	5 სამუშაო დღე
		ყოველი დამატებითი წუთი	5 სამუშაო დღე
11062	ვიდეო ჩანაწერზე (ფონოგრამით) მონტაჟის ნიშნის დადგენა	10 წუთის ჩათვლით	5 სამუშაო დღე
		ყოველი დამატებითი წუთი	5 სამუშაო დღე
დაჩქარებული საექსპერტო მომსახურების სახეობები და ვადები			
კოდი	ექსპერტიზის დასახელება	ობიექტის რაოდენობა	ვადა
11063	ვიდეო ჩანაწერზე (ფონოგრამის გარეშე) მონტაჟის ნიშნის დადგენა	10 წუთის ჩათვლით	5 სამუშაო დღე
		ყოველი დამატებითი წუთი	5 სამუშაო დღე
11064	ერთ ჩანაწერზე ხმისა და მეტყველები ს მიხედვით პიროვნების	ერთი დიქტორი	5 სამუშაო დღე

	იდენტიფიკაცია		
11065	ვიდეოგამოსახულების ხარისხის გაუმჯობესება	10 წუთის ჩათვლით ყოველი დამატებითი წუთი	5 სამუშაო დღე 5 სამუშაო დღე
11066	ფონოგრამის ხარისხის გაუმჯობესება	5 წუთის ჩათვლით ყოველი დამატებითი წუთი	5 სამუშაო დღე 5 სამუშაო დღე
11067	ფოტოსურათის ხარისხის გაუმჯობესება	ერთი ფოტო	5 სამუშაო დღე
11068	ვიდეოგამოსახულებაზე ასახული მოქმედების აღწერა	5 წუთის ჩათვლით დეტალური აღწერა ყოველი დამატებითი წუთი	5 სამუშაო დღე 5 სამუშაო დღე
11069	ფიზიკური პირის იდენტიფიკაცია ფოტოგამოსახულების ან ვიდეოგამოსახულების მიხედვით	ერთ ვიდეოგამოსახულებაზე/ ფოტოსურათზე ერთი ფიზიკური პირი	5 სამუშაო დღე
11070	ფოტოგამოსახულებაზე და ვიდეოგამოსახულებაზე ასახული პირის საიდენტიფიკაციოდ ვარგისიანობის დადგენა	ერთი ფიზიკური პირი	5 სამუშაო დღე
11071	ვიდეო ან ფოტო გამოსახულებაზე ასახული პიროვნების ვიზუალური აღწერა	ერთი პირი	5 სამუშაო დღე
11072	შემთხვევის ადგილზე ვიდეო და ჰაბიტოსკოპიური კვლევის ჩატარება	ერთი ობიექტი	5 სამუშაო დღე
11073	საგზაო სატრანსპორტო შემთხვევის ამსახველი ვიდეოჩანაწერის გამოკვლევა	ერთი ჩანაწერი	5 სამუშაო დღე
11074	ციფრულ ფოტოზე მონტაჟის დადგენა	ერთი ფოტო	5 სამუშაო დღე

დაჩქარებული
საექსპერტო
მომსახურების
სახეობები და
ვადები

კოდი	ექსპერტიზის დასახელება	ობიექტის რაოდენობა	ვადა
------	------------------------	--------------------	------

სახანძრო-ტექნიკური
ექსპერტიზა

11075	შემთხვევის ადგილის დათვალიერება სახანძრო-ტექნიკური კვლევის მიზნით	ერთი ობიექტი	5 სამუშაო დღე
11076	ობიექტის ვიზუალური დათვალიერება სახანძრო-ტექნიკური კვლევის მიზნით	ერთი ობიექტი	5 სამუშაო დღე
11077	ობიექტის სახანძრო-ტექნიკური კვლევა ინსტრუმენტული მეთოდით	ერთი ობიექტი	5 სამუშაო დღე
11078	ობიექტის სახანძრო-ტექნიკური კვლევა ელექტროტექნიკური მეთოდით (მეტალოგრაფიული ან რენტგენოსტრუქტურული)	ერთი ობიექტი	5 სამუშაო დღე
11079	სახანძრო-ტექნიკური კვლევა საქმის მასალებისა და დოკუმენტაცი ისმიხედვით	ერთი ობიექტი	5 სამუშაო დღე
რადიაციული ექსპერტიზა			
11080	ტერიტორიის გამა-დოზიმეტრიული მონიტორინგი	0 – 50 მ2	5 სამუშაო დღე
		50-დან – 100 მ2	5 სამუშაო დღე
		100 მ2 ზევით ყოველ დამატებით 100 მ2-ზე	5 სამუშაო დღე
11081	წყლის გამა-სპექტრომეტრია	ერთი გაზომვა	5 სამუშაო დღე
11082	ატმოსფერული ნალექის გამა-სპექტრომეტრია	ერთი გაზომვა	5 სამუშაო დღე
11083	ნიადაგის გამა-სპექტრომეტრია	ერთი გაზომვა	5 სამუშაო დღე
11084	მცენარის გამა-სპექტრომეტრია	ერთი გაზომვა	5 სამუშაო დღე
11085	წყლის რადიოქიმია	ერთი ნუკლიდი	5 სამუშაო დღე
დაჩქარებული საექსპერტო მომსახურების სახეობები და ვადები			

კოდი	ექსპერტიზის დასახელება	ობიექტის რაოდენობა	ვადა
11086	ატმოსფერული ნალექის რადიოქიმია	ერთი ნუკლიდი	5 სამუშაო დღე
11087	ნიადაგის რადიოქიმია	ერთი ნუკლიდი	5 სამუშაო დღე
11088	მცენარის რადიოქიმია	ერთი ნუკლიდი	5 სამუშაო დღე
11089	სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ტერიტორიის გამა-დოზიმეტრია	0 – 50 მ2	5 სამუშაო დღე
		50-დან – 100 მ2	5 სამუშაო დღე
		100 მ2 ზევით ყოველ დამატებით 100 მ2-ზე	5 სამუშაო დღე
11090	შენობის გამა-დოზიმეტრია	0 – 50 მ2	5 სამუშაო დღე
		50-დან – 100 მ2	5 სამუშაო დღე
		100 მ2 ზევით ყოველ დამატებით 100 მ2-ზე	5 სამუშაო დღე
11091	რადონის შემცველობის დადგენა ჰაერში	100 მ3	5 სამუშაო დღე
11092	ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელის რადიოქიმია	ერთი რადიონუკლიდი	5 სამუშაო დღე
11093	საკვები პროდუქტის რადიოქიმია	ერთი რადიონუკლიდი	5 სამუშაო დღე
11094	თამბაქოს ნაწარმის რადიოქიმია	ერთი რადიონუკლიდი	5 სამუშაო დღე
11095	ნავთობპროდუქტის რადიოქიმია	ერთი რადიონუკლიდი	5 სამუშაო დღე
11096	ფარმაცევტული ნაწარმის რადიოქიმია	ერთი რადიონუკლიდი	5 სამუშაო დღე
დაჩქარებული საექსპერტო მომსახურების სახეობები და ვადები			

კოდი	ექსპერტიზის დასახელება	ობიექტის რაოდენობა	ვადა
11097	პარფიუმერული და ჰიგიენური ნაწარმის რადიოქიმია	ერთი რადიონუკლიდი	5 სამუშაო დღე
11098	ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელის სპექტრომეტრია	ერთი გაზომვა	5 სამუშაო დღე
11099	საკვები პროდუქტის სპექტრომეტრია	ერთი გაზომვა	5 სამუშაო დღე
11100	თამბაქოს ნაწარმის სპექტრომეტრია	ერთი გაზომვა	5 სამუშაო დღე
11101	ნავთობპროდუქტის სპექტრომეტრია	ერთი გაზომვა	5 სამუშაო დღე
11102	ფარმაცევტული ნაწარმის სპექტრომეტრია	ერთი გაზომვა	5 სამუშაო დღე
11103	პარფიუმერული და ჰიგიენური ნაწარმის სპექტრომეტრია	ერთი გაზომვა	5 სამუშაო დღე
11104	საყოფაცხოვრებო ნივთის და სხვა პროდუქციის რადიოქიმია	ერთი რადიონუკლიდი	5 სამუშაო დღე
11105	საყოფაცხოვრებო ნივთის და სხვა პროდუქციის დოზიმეტრია	ერთი გაზომვა	5 სამუშაო დღე
11106	სამშენებლო მასალის და სამშენებლო ნარჩენის გამა-დოზიმეტრია	ყოველი 100 მ2	5 სამუშაო დღე
11107	გამა-სპექტრომეტრია (საყოფაცხოვრებო ნივთის, სამშენებლო მასალის, სამშენებლო ნარჩენის და სხვ.)	ერთი გაზომვა	5 სამუშაო დღე
11108	სამშენებლო მასალის და სამშენებლო ნარჩენის რადიოქიმია	ერთი რადიონუკლიდი	5 სამუშაო დღე
11109	ჯართის გამა-დოზიმეტრული მონიტორინგი	0-20 ტონის ჩათვლით	5 სამუშაო დღე
		ყოველი დამატებითი ერთი ტონა	5 სამუშაო დღე
დაჩქარებული საექსპერტო მომსახურების სახეობები და ვადები			

კოდი	ექსპერტიზის დასახელება	ობიექტის რაოდენობა	ვადა
11110	რადიოაქტიური წყაროს ჯამური გამა-აქტივობა	ერთი ანალიზი	5 სამუშაო დღე
11111	რადიოაქტიური წყაროს გამა-სპექტრომეტრია	ერთი ანალიზი	5 სამუშაო დღე
11112	სასოფლო-სამეურნეო სავარგულის გამა-დოზიმეტრია	0 – 50 მ2	5 სამუშაო დღე
		50-დან – 100 მ2	5 სამუშაო დღე
		100 მ2 -ზე ზევით ყოველ დამატებით 100 მ2-ზე	5 სამუშაო დღე
11113	სასოფლო-სამეურნეო სავარგულის გამა-სპექტრომეტრია	ერთი გაზომვა	5 სამუშაო დღე
11114	სასოფლო-სამეურნეო სავარგულის რადიოქიმია	ერთი რადიონუკლიდი	5 სამუშაო დღე
11115	ფურაჟის გამა-სპექტრომეტრია	ერთი გაზომვა	5 სამუშაო დღე
11116	ფურაჟის რადიოქიმია	ერთი რადიონუკლიდი	5 სამუშაო დღე
11117	სასუქის გამა-სპექტრომეტრია	ერთი გაზომვა	5 სამუშაო დღე
11118	სასუქის რადიოქიმია	ერთი რადიონუკლიდი	5 სამუშაო დღე
კომპიუტერული ექსპერტიზა			
12000	ციფრულ მატარებელზე ინფორმაციის მოძიება და ამოღება	50 ფაილის ჩათვლით – 1 ფაილი	5 სამუშაო დღე
		ყოველი დამატებითი -1 გბ	
დაჩქარებული საექსპერტო მომსახურების სახეობები და ვადები			

კოდი	ექსპერტიზის დასახელება	ობიექტის რაოდენობა	ვადა
12001	მობილური ტელეფონიდან მოკლე ტექსტური შეტყობინების ამოღება	1-5 მოკლე ტექსტური შეტყობინების ჩათვლით	5 სამუშაო დღე
		ყოველი დამატებითი მოკლე ტექსტური შეტყობინება	
12002	სიმ-ბარათიდან მოკლე ტექსტური შეტყობინების ამოღება	1-5 მოკლე ტექსტური შეტყობინების ჩათვლით	5 სამუშაო დღე
		ყოველი დამატებითი მოკლე ტექსტური შეტყობინება	
12003	მობილური ტელეფონიდან წაშლილი მოკლე ტექსტური შეტყობინების აღდგენა და ამოღება	1-3 მოკლე ტექსტური შეტყობინების ჩათვლით	10 სამუშაო დღე
		ყოველი დამატებითი მოკლე ტექსტური შეტყობინება	
12004	მობილური ტელეფონიდან კონტაქტების ამოღება	ერთი ობიექტი	5 სამუშაო დღე
12005	სიმ-ბარათიდან კონტაქტების ამოღება	ერთი ობიექტი	5 სამუშაო დღე
12006	მობილური ტელეფონიდან წაშლილი კონტაქტის აღდგენა და ამოღება	500 კონტაქტის ჩათვლით	10 სამუშაო დღე
		500-ზე მეტი კონტაქტი	
12007	მობილური ტელეფონიდან ფოტო, ვიდეო ან/და აუდიო ფაილის ამოღება	5 ფაილის ჩათვლით – 1 ფაილი	5 სამუშაო დღე
		ყოველი დამატებითი ფაილი	
12008	მობილური ტელეფონიდან წაშლილი ფოტო, ვიდეო ან/და აუდიო ფაილის აღდგენა და ამოღება	5 ფაილის ჩათვლით – 1 ფაილი	10 სამუშაო დღე
		ყოველი დამატებითი ფაილი	
დაჩქარებული საექსპერტო მომსახურების სახეობები და ვადები			

კოდი	ექსპერტიზის დასახელება	ობიექტის რაოდენობა	ვადა
12009	მობილური ტელეფონიდან განხორციელებული/მიღებული/გამოტოვებული ზარების ამოღება	ერთი ობიექტი	5 სამუშაო დღე
12010	მობილური ტელეფონიდან წაშლილი განხორციელებული/მიღებული/გამოტოვებული ზარების აღდგენა და ამოღება	ერთი ობიექტი	10 სამუშაო დღე
12011	მობილური ტელეფონის უსაფრთხოების კოდის დადგენა/მოხსნა	ერთი ობიექტი	10 სამუშაო დღე
12012	კომპიუტერის პროგრამული გამართულობის დადგენა	ერთი კომპიუტერი	5 სამუშაო დღე
12013	კომპიუტერის ტექნიკური გამართულობის დადგენა	ერთი კომპიუტერი	5 სამუშაო დღე
12014	კომპიუტერის პერიფერიული მოწყობილობის ტექნიკური მდგომარეობის დადგენა	1- 10 მოწყობილობის ჩათვლით ერთი მოწყობილობა	5 სამუშაო დღე
		ყოველი დამატებითი მოწყობილობა	
12015	სათამაშო აპარატიდან მონაცემების ამოღება	ერთი აპარატი	5 სამუშაო დღე
12016	ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემის ტექნიკური მდგომარეობის დადგენა	1- 5 კამერის ჩათვლით	5 სამუშაო დღე
		ყოველი დამატებითი კამერა	
12017	ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემის პროექტთან შესაბამისობის დადგენა	1-5 ობიექტის ჩათვლით	5 სამუშაო დღე
		ყოველი დამატებითი ობიექტი	
12018	დაშვების კონტროლის სისტემის ტექნიკური მდგომარეობის დადგენა	1-4 ობიექტის ჩათვლით	5 სამუშაო დღე
		ყოველი დამატებითი ობიექტი	
		1-4 ობიექტის ჩათვლით	
დაჩქარებული საექსპერტო			

მომსახურების სახეობები და ვადები			
კოდი	ექსპერტიზის დასახელება	ობიექტის რაოდენობა	ვადა
12019	დაივეის კონტროლის სისტემის კოორდინაციის შესაბამისობის დადგენა	ყოველი დამატებითი ობიექტი	5 სათუთაო დღე
12020	ელექტრონული ხელმოწერის აპარატის ტექნიკური მდგომარეობის დადგენა	ერთი ობიექტი	10 სამუშაო დღე
12021	მონაცემთა ბაზაში ინფორმაციის მოძიება და ამოღება	ერთი ობიექტი	10 სამუშაო დღე
12022	შესრულებული სამუშაოს შესაბამისობის დადგენა	ერთი ობიექტი:	10 სამუშაო დღე
		20000 ლარამდე	
		20000-დან - 100000-მდე	
		100000-დან - 500000- მდე	
		500000-დან -1000000- მდე	
		1000000-დან ზევით	
დაჩქარებული საექსპერტო მომსახურების სახეობები და ვადები			
კოდი	ექსპერტიზის დასახელება	ობიექტის რაოდენობა	ვადა
საინჟინრო- ტექნიკური			

ექსპერტიზა			
13000	საყოფაცხოვრებო დანიშნულების ელექტროპარატურის, დანადგარის, ხელსაწყოს ან მოწყობილობის ტექნიკური მდგომარეობის დადგენა	ერთი ობიექტი	5 სამუშაო დღე
13001	სამრეწველო დანიშნულების ელექტროპარატურის, დანადგარის, ხელსაწყოს ან მოწყობილობის ტექნიკური მდგომარეობის დადგენა	ერთი ობიექტი	5 სამუშაო დღე
13002	გამიჯვნა/ გაერთიანების გავლენა შენობა ნაგებობის კონსტრუქციის სიმტკიცეზე, მდგრადობაზე, საიმედოობაზე, სეისმომდეგობაზე და ცეცხლმდეგობაზე	ერთი ობიექტი	5 სამუშაო დღე
13003	ხმაურის ზღვრული დონის განსაზღვრა	ერთი ლოკაცია (ორი გაზომვა) 07:00-დან 19:00 საათამდე	5 სამუშაო დღე
		ერთი ლოკაცია (ორი გაზომვა) 19:00-დან 23:00 საათამდე	5 სამუშაო დღე
		ერთი ლოკაცია (ორი გაზომვა) 23:00-დან 07:00 საათამდე	5 სამუშაო დღე
13004	პროექტის კონსტრუქციული ნაწილის ექსპერტიზა (ერთი შენობა)	0 - 500 მ2	5 სამუშაო დღე
		501 მ2 - 1 000 მ2	5 სამუშაო დღე
		1 001მ2 - 5 000 მ2	5 სამუშაო დღე
		5 001 მ2 - 15 000 მ2	5 სამუშაო დღე
		15 001 მ2 და მეტი	5 სამუშაო დღე
	პროექტის საინჟინრო ნაწილის, სივრცითი ანგარიშისა და გეოლოგიის	0 - 5 000 მ2	5 სამუშაო დღე
დაჩქარებული საექსპერტო მომსახურების სახეობები და ვადები			
კოდი	ექსპერტიზის დასახელება	ობიექტის რაოდენობა	ვადა

13005	ექსპერტიზა (ერთი შენობა)	5 001 მ2 და მეტი	5 სამუშაო დღე
	შენიშვნა: განმეორებითი ექსპერტიზის შემთხვევაში საწყისი ტარიფი ნახევრდება (შენიშვნა გავრცელდება წინა ორ კოდზე)		5 სამუშაო დღე
13006	ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის დადგენა	0-500 მ3	10 სამუშაო დღე
		501- 5000 მ3	10 სამუშაო დღე
		5001-10000 მ3	10 სამუშაო დღე
		10000 მ3-ის ზევით	10 სამუშაო დღე
13007	ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის დადგენა და დეტალური გამოკვლევებისთვის საჭირო ღონისძიებების შედგენა	0-500 მ3	10 სამუშაო დღე
		501-5000 მ3	10 სამუშაო დღე
		5001-10000 მ3	10 სამუშაო დღე
დაჩქარებული საექსპერტო მომსახურების სახეობები და ვადები			
კოდი	ექსპერტიზის დასახელება	ობიექტის რაოდენობა	ვადა
13008	სამშენებლო სამუშაოების კალკულაციის (ერთეულის ფასის) ექსპერტიზა	ერთი კალკულაცია	5 სამუშაო დღე
13009	ხარჯთაღრიცხვის ექსპერტიზა	500,000 ლარამდე	5 სამუშაო დღე
		500,000-დან 2,000,000 ლარამდე	5 სამუშაო დღე
		2,000,000 ლარიდან ზევით	5 სამუშაო დღე
13010	სამშენებლო, სარემონტო ან	ერთი ობიექტი:	5 სამუშაო დღე
		500,000 ლარამდე	5 სამუშაო დღე

	სარეკონსტრუქციო სამუშაოების ღირებულების დადგენა	500,000-დან 2,000,000 ლარამდე	5 სამუშაო დღე
		2,000,000 ლარიდან ზევით	5 სამუშაო დღე
13011	საცხოვრებელი სახლის, ბინის, საზოგადოებრივი დანიშნულების შენობის აზომვითი ნახაზის შედგენა	ერთი კვ.მ	5 სამუშაო დღე
13012	სამრეწველო შენობის აზომვითი ნახაზის შედგენა	ერთი კვ.მ	5 სამუშაო დღე
13013	GPS-ით UTM კოორდინატების განსაზღვრა	ერთი ობიექტზე:	5 სამუშაო დღე
		1-4 წერტილის ჩათვლით – 1 წერტილი	5 სამუშაო დღე
		ყოველ დამატებით წერტილზე	5 სამუშაო დღე
13014	მიწის ნაკვეთის გადაფარვის დადგენა წარმოდგენილი ნახაზების მიხედვით	ერთ ობიექტზე ერთი გადაფარვის დადგენა	5 სამუშაო დღე
დაჩქარებული საექსპერტო მომსახურების სახეობები და ვადები			
კოდი	ექსპერტიზის დასახელება	ობიექტის რაოდენობა	ვადა
13015	მიწის ნაკვეთის აზომვითი ნახაზის შედგენა	ერთი ობიექტი:	5 სამუშაო დღე
		1 000 მ2-მდე	5 სამუშაო დღე
		1 000 მ2-დან 1 ჰა-მდე	5 სამუშაო დღე
		1 ჰა-დან 10 ჰა-მდე	5 სამუშაო დღე
		10 ჰა და მეტი	5 სამუშაო დღე
13016	სახლთმფლობელობის (ბინის) გამიჯვნა ორი იდეალური წილისშესაბამისად წარმოდგენილი აზომვითი ნახაზის მონაცემებზე დაყრდნობით	ერთი ობიექტი – ერთი ვარიანტი	5 სამუშაო დღე
		ყოველი დამატებული ვარიანტი	5 სამუშაო დღე
		ყოველი დამატებული წილი	5 სამუშაო დღე

13017	საწარმოო და საზოგადოებრივი დანიშნულების უძრავი ქონების გამიჯვნაორი იდეალური წილის შესაბამისად წარმოდგენილი აზომვითი ნახაზის მონაცემებზე დაყრდნობით	ერთი ობიექტი – ერთი ვარიანტი	5 სამუშაო დღე
		ყოველი დამატებული ვარიანტი	5 სამუშაო დღე
		ყოველი დამატებული წილი	5 სამუშაო დღე
13018	დასკვნა უძრავი ქონების გამიჯვნის შეუძლებლობის შესახებ	1 ობიექტი	5 სამუშაო დღე
13019	უსაფრთხოების წესების მოთხოვნათა დარღვევის დადგენა (მშენებლობა, მრეწველობა და სხვ.)	1 ობიექტი	5 სამუშაო დღე
13020	ხანდაზმულობის დადგენა ორთოფოტოს გამოყენებით	ერთი ობიექტი	5 სამუშაო დღე
		0-500 მ3	10 სამუშაო დღე

**დაჩქარებული
საექსპერტო
მომსახურების
სახეობები და
ვადები**

კოდი	ექსპერტიზის დასახელება	ობიექტის რაოდენობა	ვადა
13021	შენობა-ნაგებობის (კონსტრუქციული სქემა, კონსტრუქციული ელემენტები) აზომვითი ნახაზის შედგენა	501-3000 მ3	10 სამუშაო დღე
		3001-6000 მ3	10 სამუშაო დღე
		6001-10000 მ3	10 სამუშაო დღე
		10000 მ3-ზე მეტი	10 სამუშაო დღე

**დაჩქარებული
საექსპერტო
მომსახურების
სახეობები და
ვადები**

--	--	--	--

კოდი	ექსპერტიზის დასახელება	ობიექტის რაოდენობა	ვადა
13022	შენობა-ნაგებობის აღდგენა-გამლიერება ან რეკონსტრუქციის პროექტის (კონსტრუქციული ნაწილი) შედგენა	2,000მ2-მდე	განისაზღვრება გონივრული ვადით
		2,000-5,000მ2-მდე	განისაზღვრება გონივრული ვადით
		5,000მ2-ზე ზევით	განისაზღვრება გონივრული ვადით
13023	საშენი მასალის ნამდვილი სიმკვრივის განსაზღვრა	ერთი ნიმუში	5 სამუშაო დღე
13024	საშენი მასალის ზოგადი სიმკვრივის (მოცულობითი მასა) განსაზღვრა	ერთი ნიმუში	5 სამუშაო დღე
